საქართველოში წიგნის საჯაროდ კითხვის მსოფლიო დღე მეთერმეტედ აღინიშნება

პრესრელიზი *1 თებერვალი, 2026*

საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაციის (GPBA) ინიციატივით 4 თებერვალს საქართველოში უკვე მეთერთმეტედ აღინიშნება წიგნის საჯაროდ კითხვის მსოფლიო დღე.

ასოციაცია მართავს კამპანიას, რომლის ფარგლებშიც საქართველოს მასშტაბით არსებულ სკოლებს, ბიბლიოთეკებს, გამომცემლებსა და სხვადასხვა ორგანიზაციას, ეძლევათ საშუალება ჩაერთონ ღონისძიებაში, განახორციელონ აქტივობები და გაუწიონ წიგნის კითხვას პოპულარიზაცია. აქტიურად ჩართული სკოლები, ბიბლიოთეკები და ორგანიზაციები მიიღებენ მადლობის სიგელს საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაციისგან (GPBA).

ავტორები, ბიბლიოთეკარები, მასწავლებლები, ლექტორები შეხვედრებს საქართველოს რამდენიმე რეგიონში ჩაატარებენ, შეხვდებიან ბაღის აღსაზრდელებს, სკოლის მოსწავლეებს, ახალგაზრდებს, ისაუბრებენ წიგნიერების მნიშვნელობაზე, მის განსაკუთრებულ როლზე.

“წიგნის საჯაროდ კითხვის მსოფლიო დღე” პირველად 2010 წელს დაარსდა. ამ ღონისძიების ორგანიზატორია ამერიკული ლიტერატურული ორგანიზაცია „Litworld“, ხოლო ინიციატივა ეკუთვნის მის დამფუძნებელს, პამ ალინს (Pam Allyn). ეს დღე საშუალებას აძლევს მკითხველებს აქტიურად შეიტანონ წვლილი კითხვის პოპულარიზაციაში, გაერთიანდნენ და აქციონ დღე განსაკუთრებულ დღესასწაულად.

კამპანია გაშუქდება რადიოსა და ტელევიზიის საშუალებით.

ღონისძიების სლოგანია: „ვიკითხოთ ხმამაღლა და ერთად შევცვალოთ მსოფლიო“.